ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2018-2019 წლების კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის სატენდერო კომისიის სხდომის
ოქმი №1

ქ. თბილისი **23 თებერვალი, 2018 წელი**

სხდომას ესწრებოდნენ:

ილია ბეგიაშვილი - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადმინისტრაციული მართვის დეპარტამენტის უფროსი, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;

ლევან რაზმაძე - სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის წევრი;

ნოდარ ხადური - სსიპ - კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის წევრი;

გიორგი ბუთხუზი - საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისის წევრი;

გიორგი თაბუაშვილი - საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;

რომეო მიქაუტაძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი.

ვასილ ჯანჯღავა – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი, სატენდერო კომისიის წევრი.

სხდომის მდივანი:

ქეთევან ქადაგიძე – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, კონსოლიდირებული ტენდერების სამსახურის უფროსი.

დღის წესრიგი:

2018 წლის 31 იანვარს გამოცხადებული ფიჭური სატელეფონო მომსახურების CON170000111 კონსოლიდირებული ტენდერის შეწყვეტა.

განხილვა:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის, ილია ბეგიაშვილის მიერ სატენდერო კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებული ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში მონაწილეობდა და შესაბამისად, გამარჯვებულად ცხადდებოდა ერთზე მეტი მიმწოდებელი, რითიც უზრუნველყოფილი იყო სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის მაქსიმალურად სრულყოფილი მომსახურება, მათ შორის ტერიტორული დაფარვის კუთხით. ერთზე მეტი გამარჯვებულის არსებობა ტენდერში ასევე უზრუნველყოფდა მეტნაკლებად თანაბარ კონკურენტული გარემოს არსებობას ბაზარზე მოქმედი ბიზნეს სუბიექტებისათვის. კომუნიკაციების სფეროს სპეციფიურობიდან, მისი მაღალი მნიშვნელობიდან და უწყვეტი მომსახურების აუცილებლობიდან გამომდინარე, არსებულმა პრაქტიკამ აჩვენა, რომ ამ ეტაპზე სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის საჭირო იყო ტენდერში ერთზე მეტი გამარჯვებული მიმწოდებლის არსებობა, რათა ერთ-ერთი მათგანის შეფერხების შემთხვევაში თავიდან ყოფილიყო აცილებული მომსახურების გარეშე დარჩენის რისკი, რომელიც თავის მხრივ საფრთხეს შეუქმნიდა სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციების სრულყოფილ და გამართულ ფუნქციონირებას.

უკანასკნელი რამოდენიმე წლის კონსოლიდირებული ტენდერების შედეგების გათვალისწინებით, სატენდერო კომისიას მოლოდინი ჰქონდა, რომ ფიჭური სატელეფონო მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონსოლიდირებულ ტენდერში CON170000111 დაფიქსირდებოდა კონკურენცია და მონაწილეობას კვლავ ერთზე მეტი კომპანია მიიღებდა, თუმცა აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა - შპს „ვიონი საქართველომ“.

ასევე, სატენდერო კომისიამ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევისა და პრეტენდენტის ზოგადი ტექნიკური შესაძლებლობების დადგენის მიზნით, კომპეტენციის გათვალისწინებით, წერილობით მიმართა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას (წერილი #530, 08.02.2018).

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საპასუხო წერილის (წერილის N 06/633-18, 23.02.2018) შესწავლისას, მოცემულ ეტაპზე ვერ იკვეთება პრეტენდეტის ზოგადი ტექნიკური შესაძლებლობების სრული სურათი.

ზემოაღნიშნულისა და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ უწყვეტი და შეუფერხებელი საკომუნიკაციო მომსახურება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის, სატენდერო კომისია მიზანშეწონილად თვლის, რომ ტენდერში ერთი გამარჯვებული მიმწოდებლის არსებობა ალტერნატიული წყაროს გარეშე, შესაძლოა

სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის სერიოზულ რისკებთან იყოს დაკავშირებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან, ასევე საკითხის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია შეწყდეს CON170000111 კონსოლიდირებული ტენდერი, განხორციელდეს ბაზრის ხელახალი კვლევა, გადაიხედოს სატენდერო პირობები და 2018-2019 წლების განმავლობაში ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადებში ხელმეორედ გამოცხადდეს კონსოლიდირებული ტენდერი.

კომისიამ დაადგინა:

1. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან და საკომუნიკაციო მომსახურების შეუფერხებელი მიწოდების აუცილებლობიდან გამომდინარე, შეწყვეტილ იქნეს ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერი CON170000111 და ხელახალი ბაზრის კვლევის საფუძველზე უმოკლეს ვადებში გამოცხადდეს განმეორებით.

2. დაევალოს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წინამდებარე ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა.

ოქმის რედაქცია შეთანხმებულია კომისიის წევრებთან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.